შ.პ.ს "ლ ი ლ ე ო"

LTD "L I L E O"

/№368(Y)/ 09. 06. 2016 წ.

პროექტის ექსპერტიზა

ქ.თბილისი, ქუჩა გაბრიელ ისაკაძე №12-ში, საკადასტრო კოდით №01.10.12.020.001.01.529 შპს "ალტრა ვიტა"-ს საკუთრებაში არსებულ ფართზე მიშენების პროექტის გეოლოგიური ნაწილის საექსპერტო შეფასება

თბილისი

2016 წელი



შინაარსი

ქ.თბილისი, ქუჩა გაბრიელ ისაკაძე №12-ში, შპს "ალტრა ვიტა"-ს წარმომადგენლის თხოვნის საფუძველზე დაგვევალა შემოწმება ჩაგვეტარებინა მათ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, რომელიც მდებარეობს კორპუსის პირველ სართულზე, ანუ მიწის ნიშნულის დონეზე გეოლოგიური ნაწილის შესაფასებლად. კვლევის მიზანია შესწავლილ იქნას გეოლოგიური კვლევის შედეგად მიღებული მონაცემებისა და მოცემული ლაბორატორიული კვლევის შედეგების სისწორე.

პირველ რიგში შევისწავლილ იქნა ინჟინერ-გეოლოგის მიერ ჩატარებული გეოლოგიური სამუშაოები, რომელიც წარმოდგენილია კვლევაში. წარმოდგენილი გეოლოგიური მონაცემების მიხედვით აღნიშნულ ტერიტორიაზე ნაყარი ფენის შემდგომ გვხდება არგელიტებისა და ქვიშაქვების მორიგეობა, რომლის სიმტკიცის კოეფიციენტი (R_o-2.2 კგ.ძ/სმ^2) მოცემულ პროექტთან მიმართებაში მისაღები და საანგარიშოდ დამაკმაყოფილებელია. აღნიშნული ფართი მცირედია და მოცემული გეოლოგიური პირობები სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ მასზე დაყრდნობით დაგეგმარებულ იქნას კონსტრუქციული ნაწილი, საძირკვლები და მზიდი კონსტრუქციული ელემენტები. გეოლოგიური მონაცემების მიხედვით აღნიშნულ უბანზე გავრცელებულია ძირითადად ქვიშაქვებისა და თიხნარების ფენა, რაც შეესაბამება სინამდვილეს და მოცემული კოეფიციენტები აღებულია მართებულად. წარმოდგენილი გეოლოგიური კვლევის შედეგები შეესაბამება ნორმებს და სამუშაოები განხორციელებულია ჯეროვნად.

დასკვნა

ჩვენს მიერ შესწავლილი საპროექტო დოკუმენტაცია, სადაც განხილულ იქნა გეოლოგიური მონაცემბი, შესრულებულია ჯეროვნად და აკმაყოფილებს წარმოდგენილ მდგომარეობას, რომელიც შესრულებულია ადგილზე აღებული სინჯების საფუძველზე. აქედან გამომდინარე გეოლოგიური მონაცემები და მასში მოცემული საანგარიშო კოეფიციენტები საკმარისად დამაკმაყოფილებელია მოცემული საპროექტო სამუშაოების განხორციელებისათვის.

დირექტორი: ა. ყურაშვილი

კონსტრუქტორ-ექსპერტი: